



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 97/12

2018 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 22 ნოემბრის საჯარო სხდომაზე განიხილა მერაბ ანანიაშვილის სს „თელასის“ მიმართ (№ 13775/01; 13.11.2018), გიორგი ჯაოშვილის სს „თელასის“ მიმართ (№13784/01; 13.11.2018), ლიანა და ნინა ზურაბაულების სს „თელასის“ მიმართ (13689/01; 09.11.2018), ჯემალ შელიას სს „თელასის“ მიმართ (№13804/01; 13.11.2018), შპს „მეტალოინვესტის“ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№13700/01; 13.11.2018), რაულ წოწორიას სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№13803/01; 14.11.2018) და შპს „არგონვესტ კომპანიის“ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№13910/01; 15.11.2018) არსებულ დავებზე ვადის გაგრძელების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გაგრძელების (განსაზღვრის) საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. სს „თელასის“ მიმართ მერაბ ანანიაშვილის განცხადებასთან (№ 13775/01; 13.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 12 თებერვალი.
2. სს „თელასის“ მიმართ გიორგი ჯაოშვილის განცხადებასთან (№ 13784/01; 13.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 12 თებერვალი.
3. სს „თელასის“ მიმართ ლიანა და ნინა ზურაბაულის განცხადებასთან (№ 13689/01; 09.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 8 თებერვალი.
4. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ შპს „მეტალოინვესტის“ განცხადებასთან (№13700/01; 13.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 12 თებერვალი.
5. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ რაული წოწორიას განცხადებასთან (№13910/01; 15.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 14 თებერვალი.
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ შპს „არგონვესტ კომპანიის“ განცხადებასთან (№13803/01; 14.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 13 თებერვალი.
7. სს „თელასის“ მიმართ ჯემალ შელიას განცხადებასთან (№ 13804/01; 13.11.2018) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 12 თებერვალი.

8. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირებს.
9. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
10. გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

დავით ნარმანია



კომისიის წევრი